სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პროექტის - „საქართველოს სოციალური ისტორია: საზოგადოება და კულტურა“ ერთ-ერთი მიმართულების - „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სოციალ-ეკონომიკური პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა“, 2025 წლის თემატიკით განსაზღვრულია თემის: „ადიღე-ჩერქეზთა და ყაბარდოელთა სოციალ-ეკონომიკური პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა,“ შესრულება. კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, 2025 წლის 12 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით, მეცნიერთა ჯგუფმა, კერძოდ: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მ/თ **როლანდ თოფჩიშვილი;** მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი**; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: **ნათია ჯალაბაძე, ირმა კვაშილავა** და მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ავთანდილაშვილი**) თანამშრომლებმა მოაწყვეს ექსპედიცია სვანეთის რეგიონში, კერძოდ მესტიის მუნიციპალიტეტში. საველე-ეთნოგრაფიული სამუშაოები ჩატარდა: ეცერის, ბეჩოს, ლატალის, ლენჯერის, მულახის, კალის, უშგულის თემების სოფლებში და დაბა მესტიაში.

შეგროვდა მასალა ეთნიკური ურთიერთობისა და მიგრაციის პრობლემებზე, ქართველებთან ურთიერთობის საკითხებზე; ადიღე-ჩერქეზთა და ყაბარდოელთა სულიერ კულტურასა და რწმენა-წარმოდგენებზე; ქართველთა და ადიღეელთა (ჩერქეზთა) ეთნოპოლიტიკური ვითარებაზე ძველად და ახლა; ქართველთა და ადიღეელთა (ჩერქეზთა) სოციალური ურთიერთობის (საზოგადოებრივი ყოფა) პრობლემებზე; ადიღე-ჩერქეზთა და ყაბარდოელთა სამეურნეო ტრადიციების შესახებ; ადიღე-ჩერქეზთა და ყაბარდოელთა დასახლების ტიპზე და საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე. მოპოვებული მასალა დამუშავდება და გამოყენებული იქნება წლიურ ნაშრომებში.